დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

(სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ეკატერინე გიგაშვილი
წევრები: ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **245427337**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ვიზიტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 3 ივლისის N 8001060 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე -ეკატერინე გიგაშვილი, წევრი-ირმა ღარიბაშვილი, დაევალა ვიზიტის განხორციელება: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მისამართი ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქუჩა N24. მიმდინარე წლის 15 ივლისს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის:

„შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის დაწესებულების მიერ პირველადი და ხარვეზის გამოსწორების შედეგად გადმოგზავნილი დოკუმენტაცია: განაცხადი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი, მარეგულირებელი აქტები, რომლითაც რეგულირდება საზღვაო აკადემიაში პროგრამის განხორციელება და საქმიანობა, ასევე სხვა თანდართული დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ადგილზე ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა შეხვედრები და ინტერვიუირება საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, იურისტთან, საგანმანასთლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსთან/სპეციალისტთან, ბიბლიოთეკათან, პროგრამის ხელმძღვანელსა და პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებთან. ასევე პრაქტიკის ობიექტების მიხედვით ადგილზე პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების წარმომადგენლების და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით გადამოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემოები(A გარემო, B-C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი) ასევე ადამიანური რესურსის პირადი საქმეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთი არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

კომპონენტი 2.2.1 (1)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების შესაბამისად განხორციელდეს პროგრამაში განსაზღვრული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა. შესაბამისობის გეგმაში, პროგრამაში განსაზღვრული მატერიალურით რესურსით უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრულია 2024 წლის ოქტომბრის ბოლო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ის რეკომენდაცია,** რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*

კომპონენტი 2.1.1.(6) / 2.1.1.(8). პროგრამის შემუშავების მიზნით რექტორის 2024 წლის 20 მარტის ბრძანება №02-184 -ის მე-2 მუხლი უნდა დარედაქტირდეს შემდეგნაირად: აკრედიტაციის ნაცვლად უნდა ჩაიწეროს პროგრამის/ების შემუშავების ის პროცედურები, რაც გაწერილია რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით და ევალება პროგრამის მოსამზადებლად შიდა სამუშაო ჯგუფს.

- მეტი გამჭვირვალობისთვის მიზანშეწონილია, "ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და სტანდარტების" მოდულში დაზუსტდეს სასწავლო რესურსად განსაზღვრული ზოგადი ჩანაწერი - "ტექნიკური რეგლამენტები, ნორმატიული აქტები".
- მიზანშეწონილია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში თემატიკების შესაბამისად დაემატოს შემდეგი სასწავლო რესურსი:
  - "სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-15/ნ (ცვლილება 01-21/ნ).
  - საქართველოს მთავრობის დადგენილება 370 (სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე).
  - "შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში", გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება (GIZ), შრომის ინსპექცია. 2021 წ.; https://vet.ge/api/files/educational_resources/6231bcdad16c28001cf9efbb
  - "საავტომობილო გზების მშენებლობა", ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია (ICCA), გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება (GIZ). www.icca.ge

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- მიზანშეწონილია, გადაიხედოს მოდული - "ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი". შესაბამისობაში მოვიდეს მოდულის მეორე და მესამე შედეგების თემატიკები სწავლის შედეგებთან. აღნიშნული უზუსტობა მოდულში გადმოტანილია **ჩარჩო დოკუმენტის მოდულიდან. აღსანიშნავია, რომ მოდულის მე-3, "დამხმარე ჩანაწერების" პუნქტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და დაწესებულებას შეუძლია ცვლილებების შეტანა.**

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტების მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან **სრულად იქნა გაზიარებული,** რაც დასტურდება 2024 წლის 03 ივლისის სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის N801060 ბრძანებით (ბრძანებაში ცვლილება N 820624-05/07/2024) შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის არგუმენტირებულ პოზიციაში (ცენტრში რეგისტრაციის N960867- 09/08/2024).

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	რექტორის ბრძანება N01-145 14.06 2024
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**
2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**
3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**
4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**
6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**
7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**
8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ „**შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების**“ პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა შემუშავდა პროგრამის საჭიროების დასაბუთების დოკუმენტზე დაყრდნობით. დოკუმენტი მომზადებულია რეგიონული განვითარების საჭიროებათა კვლევის საფუძველზე და ბუნებრივია, ახალი მიმართულებების შესაბამისი კადრების მომზადების პროგნოზს იძლევა. აღნიშნული დოკუმენტი ასაბუთებს, ერთი მხრივ, რეგიონში არსებულ ინდუსტრიულ-ეკონომიკურ სექტორში არსებულ ორგანიზაციებში უსაფრთხოების ნორმებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების ცოდნის განახლების საჭიროებას, მეორე მხრივ, რეგიონში, ამ მიმართულებით არსებული კადრების მწვავე დეფიციტს. დაწესებულების სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული პროგრამის შეთავაზებით რეგიონის სტრატეგიული განვითარების შესაძლებლობებიც იზრდება და შესაბამისად, პროგრამის დამატება და მისი განხორციელება საზღვაო აკადემიის მიერ სტრატეგიულ მიზნებსა და მისიასთან თავსებადია.
   პროგრამის პრიორიტეტულობა პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვირების ეტაპზეც დადასტურდა. დაწესებულების მისია არ ზღუდავს პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას და ეხმიანება სტრატეგიულ მიზანს პროგრამების ახალი მიმართულებების განვითარების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა შეფასებით, საზღვაო აკადემიის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** არის მეხუთე საფეხურის და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. გარდა ამისა, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ND 2-F03), რომელიც აღწერს პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული და რექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი - უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურა შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ(ცვლილება 72/ნ;03.08.2023) ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

რექტორი, აპლიკანტთა შერჩევის მიზნით, ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით ქმნის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლების მონაწილეობით (კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის 2/3) შესარჩევ კომისიას. კომისია ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოს ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, აპლიკანტთა დიფერენცირებული შეფასებისთვის, რექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდივიდუალური აქტით მტკიცდება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ წესით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის № 16/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი“(ND 2-O19-01). აღნიშნული დოკუმენტი აღწერს დაწესებულების მიდგომებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კონტინგენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. დოკუმენტის მე-3 მუხლი კონტინგენტის განსაზღვრის მიზნით ძირითად პარამეტრებს ადგენს და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის პროცესში პრიორიტეტს ანიჭებს: პროფესიული პროგრამის ხანგძლივობას, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზას, პრაქტიკის ობიექტები და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების რაოდენობას. შესაბამისად, საზღვაო აკადემიამ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე წარმოადგინა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მე-5 საფეხურის პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება სასწავლო გარემოს, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისიწნებით, მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტების მიერ ადგილზე გადამოწმდა სასწავლო გარემო(A, B და C გარემო), A ტიპის სასწავლო გარემო არის გათვლილი პროფესიული სტუდენტისთვის 30 ადგილზე, დამატებით არის კიდევ მეორე საკლასო სივრცე 15 ადგილით; B ტიპის ორი გარემო დაწესებულებას აქვს 17 და 15 ადგილზე; ასევე C გარემო, სადაც განთავსებულია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროგრამის **მატერიალური რესურსის დანართის შესაბამისი ინვენტარის, ხელსაწყოების, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების მხოლოდ ნაწილი;** გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და ადამიანური რესურსის გამტარიანობის დასაბუთების მიზნით, ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, ორ ცვლაში კონტინგენტის მიღებისთვის დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სასწავლო მოდულების განხორციელების ცხრილი, რომელიც არ მოდის წინააღმდეგობაში სასწავლო გეგმასთან. აღნიშნული ცხრილის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ ასევე გადამოწმდა იმ პროფესიულ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა პროგრამის მთელი პერიოდის განმავლობაში, სხვა პროგრამებთან მიმართებით, რაც არ აღმოჩნდა 17 საათზე მეტი. თითოეულ მოდულში მითითებულია ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

4. საგანმანათლებლო პროგრამის **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების "** განხორციელების შესაბამისი მატერიალური რესურსის ნაწილი, რომელიც პროგრამისთვის გამოყოფილ ფართშია განთავსებული და დასტურდება დაწესებულების მიერ შესყიდვის დოკუმენტაციით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის რელევანტურია. თუმცა მხედველობაშია მისაღები ასევე მატერიალური რესურსის ნაწილში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით წარმოდგენილი ჩამონათვალიც. დაწესებულების ბაზაზე არსებული და დამატებით შესაბამისობის გეგმით გათვალისიწნებული მატერიალური რესურსი შესაძლებელს ხდის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

<u>ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები უზრუნველეყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;</u>

5. პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „ **შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“** დამტკიცებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-145 ბრძანებით. ასევე, საზღვაო აკადემიას, რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით შემუშავებული აქვს **„პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“,** რომელიც წარმოადგენს მის დამტკიცებამდე დაწესებულების მიერ განსახორციელებელ პროცედურას. პროცედურის შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვის ეტაპზე რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი **აქტით იქმნება შიდა** სამუშაო ჯგუფი, ამავე ბრძანებით განისაზღვრება ჯგუფის წევრების სია და **განესაზღვრებათ ფუნქციები,** სამუშაო ჯგუფის მიერ უნდა მომზადდეს ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისი პროგრამა, მოძიებულ იქნეს მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსის შესახებ ინფომაცია, მ.შ. განისაზღვროს პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურა და ჯგუფის მიერ მომზადებული პაკეტი წარედგინოს რექტორს პროგრამის დასამტკიცებლად. პროგრამის შემუშავების მიზნით რექტორის 2024 წლის 20 მარტის ბრძანება №02-184 -ის მე-2 მუხლი განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას და ამავე ბრძანების მეორე მუხლით რექტორი ავალებს ჯგუფის წევრებმა მოამზადონ პროგრამა აკრედიტაციისთვის, რაც ტერმინოლოგიური და **ტექნიკური ხარვეზია და უნდა დარედაქტირდეს** შემდეგნაირად: აკრედიტაციის ნაცვლად უნდა ჩაიწეროს პროგრამის/ების შემუშავების ის პროცედურები, რაც გაწერილია რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით და ევალება პროგრამის მოსამზადებლად შიდა სამუშაო ჯგუფს.

ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების, ჯგუფის წევრებთან შიდა სამუშაო ჯგუფის ფუნქციების გადანაწილებასთან დაკავშირებით ინტერვიურიების შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ განხორციელებული საქმიანობი განხორციელებული რექტორის ბრძანებით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად, ხოლო შედეგები ასახულია № 44 ოქმში.
ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

7. პროგრამის სახელწოდება " შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" შეესაბამება პროგრამის შინაარსს და აღწერს მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და არსებული მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა და ასევე ჩანს სტუდენტთა კვირეული დატვირთვა. პროგრამა მოიცავს ზოგად და სავალდებულო მოდულებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტია, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის150 კრედიტი.

ექპერტთა აზრით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2022 წლის 28 დეკემბრის № 01-301 ბრძანებით შემუშავებული აქვს „პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი", რომელიც შედგენილია პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და მათი განვითარების მიზნით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს დაწესებულების მხრიდან პროგრამის შემუშავების პროცედურებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის სტრუქტურის, მასში ცვლილების განხორციელების, გაუქმების და ხარისხის შეფასების მექანიზმებს. ამავე დოკუმენტის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანის მიზნით, რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, **რომლის ფუნქციები რეგულირდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის შესაბამისად.** მე-5 მუხლით განსაზღვრულია ჯგუფის შემადგენლობა დაწესებულებაში არსებული პოზიციების გათვალისწინებით, კერძოდ:

ა)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატორი;
ბ) ცენტრის ხელმძღვანელი;
გ) სასწავლო პორცესზე პასუხისმგებელი პირი;
დ) დამსაქმებლები;
ე) პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები;
ვ) ბიბლიოთეკის წარმომადგენელი;
ზ) საზღვაო აკადემიის აღრიცხვა-ანგარიშვების სამსახურისა და ინფრასტრუქტურისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლები;
თ) პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ი) კურსდამთავრებულები;
კ) პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები (არსებობის შემთხვევაში);
ლ) დარგის ექსპერტები და სხვა;
მ) პროფესიული მომზადების ცენტრის ხარისხზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით შექმნილი შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი №44, რომელიც თარიღდება 04.03.2024. ოქმში ჩამოთვლილია შიდა მხარდაჭერის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ჯგუფის ცხრა წევრი, მ.შ. არის შვიდი სხვადასხვა პროგრამის ხელმძღვანელი, ფოთის ფილიალის საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი და საზღვაო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი. ექსპერტების მიერ დადასტურდა , რომ პროგრამის შემუშავებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით არსებული მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული პროცედურის ამსახველი მტკიცებულებები - შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება; პრაქტიკის ობიექტთან დადებული მემორანდუმები, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღანელის კანდიდატურა წარმოადგინა, რაც გახდა საფუძველი პროგრამის დამტკიცების.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული შიდა მარეგულრებელი დოკუმენტაცია და დაწესებულების მიერ განხორციელებულ პროცედურები კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის, ზოგიერთი პროფესიული პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2024 წლის 14 ივნისის №01-145 ბრძანება „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ მე-5 საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის № 16/2 გადაწყვეტილება-პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი ND 2-O19-01
- საჯარო სამართლის - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ბრძანება-№01-145 14 / ივნისი / 2024 წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი ND 2-F09-01
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანება-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 26 ნოემბრის № 16/2 გადაწყვეტილება- პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი ND 2-O19-01
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის № 01-63 ბრძანება - მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის და შეფასების წესი ND 2-O04-06
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო სხდომის ოქმი №44

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**
2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**
3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**
4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**
6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**
7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან.

ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდა **A ტიპის სასწავლო გარემ**ო. აკადემიის მიერ გამოყოფილია ორი აუდიტორია - №107 და №108. თვითოეულ აუდიტორიაში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 30-ს. აუდიტორიები აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა ისეთი აღჭურვილობით, როგორიცაა პროექტორი, დაფა, პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლისათვის საჭირო სკამები და მაგიდები, დემონსტრირების ციფრული საშუალებებით (პროექტორი, კომპიუტერი). აუდიტორიებს 2 ცვლაში 60 პროფესიული სტუდენტის გამტარიანობის უნარი აქვს.

B ტიპის სასწავლო გარემო წარმოადგენს ყველა პროფესიული პროგრამისთვის საერთო გარემოს. დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია - 309, 310, 311. თვითოეული აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტის 20 და პროფესიული განათლების მასწავლებლის ერთი სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი). სამუშაო სივრცეები აღჭურვილია პრინტერითა და პროექტორით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ სამივე აუდიტორიას იორ ცვლაში აქვა 120 პროფესიული სტუდენტის გამტარიანობის უნარი. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

C ტიპის სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია 210 და 211 აუდიტორიები. ერთ სივრცეში განთავსებულია პირველადი დახმარების ყველა საჭირო ინვენტარი, მათ შორის მულაჟები. ხოლო, მეორე სივრცე აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, სახანძრო სპეც ტანსაცმლით და სხვ. აღნიშნული აუდიტორიები განკუთვნილია სხვადასხვა პროგრამებისთვის და მაქსიმალური კვირეული დატვირთვა არ აღემატება 60 საათს.

ინტერვიურებისას საგანმანათლებლო დაწერსებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამაზე ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრულია 60 ადგილი. ყოველწლიურად 30-30 სტუდენტი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ 4 თვეში, ოქტომბრის ბოლოს, პროგრამაში განსაზღვრული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულება. აღნიშნული რესურსების დიდი ნაწილი არ არის წარმოდგენილი სასწავლო სივრცეებში. საზღვაო აკადემიის მიერ განხორციელდა ბაზრის კვლევა რესურსების ფასებთან დაკავშირებით და ამ დროისთვის შერჩეულია მომწოდებელი კომპანია "თრეიდ სერვისი 2014"-ის (ს/კ 4000120150) ინვოისი შესაძენი მატერიალური რესურსის შესახებ, აღნიშნულ შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმდება ივლისის თვეში და ხელშეკრულების გაფორმებიდან მომწოდებელი კომპანია 4 თვის განმავლობაში დაასრულებს საქმის წარმოებას. აღნიშნული დადასტურდება რესურსის სასწავლებელში განთავსებითა და მიღება-ჩაბარების აქტით. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება "ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ელექტრონული სისტემის e-PLAN მოდულში კორექტირების შესახებ", სადაც გაწერილია ინფორმაცია საგანმანათლებლო მომსახურებიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით დაფინანსებული, 2024 წლის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დაკორექტირების შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან:

- შპს "კავკასიან მეტალს ტერმინალი".

- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.

- შპს "ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი".

- სსიპ-საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიის სამსახური".

- შპს " შოპმარი".

მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა შესრულდება მათი მხრიდან.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები"** (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სწავლება მოიცავს როგორც თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებას, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას და დასამტკიცებლად წარდგენას, მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შედეგების შეფასებას, მონაწილეობას პროფესიული განვითარების ტრენინგებში და შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობაში. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. აღსანიშნავია, რომ თიითოეული მოდულის განხორციელებისთვის განსაზღვრულია 2 პირი.

***ექსპერტთა შეფასებით,* პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) განაცხადის ადამიანური რესურსების დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით და შესწავლილი პირადი საქმეების საფუძველზე, შესაბამისი მოდულების განსახორციელებლად შერჩეულ პირებს უდასტურდება დარგობრივი კომპეტენცია. საგანმანათლებლო დაწესებულებაში შემუშავებულია შიდა ნორმატიული დოკუმენტი-„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის, სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი“. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს პროფესიული მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას. გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ ექსპერტებს განემარტათ, რომ განხორციელდა სწავლებისა და შეფასების მიდგომების გაცნობა და რეგულარულად განხორციელდება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. დაწესებელებას ჰყავს გადამზადებული ტრენერები, რომლებიც პერიოდულად ჩაატარებენ შეხვედრებს მოდულების განმახორციელებელ პირებთან. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება დასტურდება ტრენინგების გავლის სერტიფიკატებით. საგანმანათლებლო დაწესებულებაში დანერგილია მასწავლებლის მიერ გაწეული მუშაობის შეფასება მეცადინეობებზე ურთიერთდასწრების პრაქტიკითა და სტუდენტების მიერ მასწავლებელთა შეფასების გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4.ინტერვიურებისას საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემუშავებულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და ვალდებულებები, რომელიც პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში არის ასახული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობაზე. მან უნდა უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მუშაობის კოორდინაცია, მონიტორინგი გაუწიოს ცალკეული მოდულის განხორციელებას. მან მონაწილეობა უნდა მიიღოს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობაში, პროგრამის განვითარებაში.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირი არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, აქვს სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

5.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ჩაწერილი მკითხველისათვის, მისთვის მინიჭებული ელექტრონული კოდის გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე მოდულში სასწავლო რესურსად განსაზღვრულია ზოგადი ჩანაწერი-"ტექნიკური რეგლამენტები, ნორმატიული აქტები". ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია, გარკვეულ მოდულებში (ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები; ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი და სხვ.) ტექნიკური რეგლამენტების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

გადასახედია "ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის" მოდული. ფიქსირდება შეუსაბამობა სწავლის შედეგებსა და დამხმარე ჩანაწერებში განსაზღვრულ თემატიკებს შორის, კერძოდ:

- მოდულის მეორე შედეგია - "რისკის და საფრთხეების იდენტიფიცირება" (შესრულების კრიტერიუმები - განმარტავს რისკის შეფასების მიზნებს; აღწერს საფრთხეებსა და რისკებს; აღწერს ინციდენტების სხვადასხვა ტიპებს; აღწერს რისკის შეფასების ფორმებს; აღწერს საფრთხეების იდენტიფიცირების მიდგომებს; ახდენს რისკებისა და საფრთხეების შეფასებას). მეორე შედეგის თემატიკებად განსაზღვრულია - "შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ორგანიზება, როლები და პასუხისმგებლობები; დამსაქმებლის როლი, მოვალეობა და პასუხისმგებლობა; თანამშრომლის მოვალეობა; ერთზე მეტი დამსაქმებელი ტერიტორიაზე; ტერიტორიის მაკონტროლებელი ადამიანები; მწარმოებლების, მიმწოდებლების და დიზაინერების ზოგადი მოვალეობების ჯაჭვი; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის მრჩეველის პასუხისმგებლობები; კონტრაქტორების შერჩევა; კონტრაქტორების მართვა; კონტრაქტორების მოვალეობები; კონტრაქტული ვალდებულებები". ექსპერტთა შეფასებით, მოდულის მეორე შედეგის დადასტურება შეთავაზებული თემატიკებით ნაკლებად შესაძლებელია. მეორე შედეგის შესაბამისი თემატიკა გაწერილია მოდულის მესამე შედეგის (ინციდენტისა და უბედური შემთხვევების გამოძიება, ანგარიშგება) თემატიკების პუნქტში (რისკის შეფასების მიზნები; საფრთხე და რისკი; ინციდენტების სხვადასხვა ტიპები; ინციდენტების კოეფიციენტები, პროპორციის სარგებლისა და ლიმიტების გამოყენება შემდგომი ინციდენტების პრევენციაში; რისკის შეფასების ფორმები; საფრთხეების იდენტიფიცირება და სხვ.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული შენიშვნა ეხება ჩარჩო დოკუმენტის მოდულს - "რისკის და საფრთხეების იდენტიფიცირება". გადასახედია ჩარჩო დოკუმენტის მოდული. აღსანიშნავია, რომ მოდულის „დამხმარე ჩანაწერების" პუნქტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და დაწესებულებას შეუძლია თემატიკებში ცვლილების შეტანა. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტრთა **მიერ რეკომენდაცია გაიწერა** სახელმძღვანელოების დამატებასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია, გარკვეულ მოდულებში სასწავლო რესურსად გამოყენებულ იქნეს შემდეგი სახელმძღვენელოები:

- "შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სექტორში", გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება (GIZ), შრომის ინსპექცია. 2021 წ.; https://vet.ge/api/files/educational_resources/6231bcdad16c28001cf9efbb
- "საავტომობილო გზების მშენებლობა", ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია (ICCA), გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება (GIZ). www.icca.ge
- **"სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-15/ნ (ცვლილება 01-21/ნ).**
  - **საქართველოს მთავრობის დადგენილება 370 (სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე).**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების გაცნობისა და პასუხისმგებელ პირთან გასაუბრების შედეგად, **ექსპერტების შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" (მეხუთე დონე) განხორციელების მიზნებისთვის განკუთვნილი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

6. საბიბლიოთეკო სივრცე განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და ადაპტირებულია ყველა სსსმ პირზე. საჭიროების შემთხვევაში მათ დახმარებას გაუწევენ შინაგანაწესის კონტროლის და უსაფრთხოების/დაცვის თანამშრომლები. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. აკადემიის საბიბლიოთეკო სერვისები იძლევა შესაძლებლობას მკითხველმა ადგილზე წაიკითხოს სახელმძღვანელო, გააკეთოს ცალკეული გვერდების ასლები ან ამობეჭდოს მისთვის სასურველი მასალა. საჭიროების შემთხვევაში აკადემიის ბიბლიოთეკა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩართულობით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების ვიზუალურ ან შინაარსობრივ ადაპტირებას.

ექსპერტთა შეფასებით, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, პროგრამის განაცხადს თან ახლავს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც განსაზღვრულია როგორც შემოსავლები, ისე ხარჯები. რენტაბელურობის ზღვარი არის 9 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს. შესაბამისად, დაწესებულების შემოსავალი აღნიშნულ პროგრამაზე იქნება ხარჯზე ბევრად მაღალი.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის, ზოგიერთი პროფესიული პროგრამის დამტკიცების შესახებ, 2024 წლის 14 ივნისის №01-145 ბრძანება „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ მე-5 საფეხურის პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- საჯარო სამართლის - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ბრძანება-№01-145 14 / ივნისი / 2024 წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი ND 2-F09-01
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანება-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- საპროგნოზო ბიუჯეტის ფორმით;

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**
2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი, რომელსაც იყენებს დაწესებულება, ასახული არის პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მიზნით დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესში, ასევე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დოკუმენტში -ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია (ND 2-F03-01) -შესახებ. ორივე დოკუმენტი მოიცავს პროგრამის შეფასების მექანიზმებს, რაც გულისხმობს ერთი მხრივ დემინგის ციკლის შესაბამისად პროგრამის შეფასების მიდგომის გამოყენებას და პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში იმატებს დაწესებულება " შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ტექნოლოგიების მე-5 საფეხურის პროგრამას, ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები პროგრამის შეფასებასთან, შეფასების მექანიზმების გამოყენებასთან და შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტების კითხვაზე, როგორ იყენებს სხვა პროგრამებთან მიმართებით პროგრამის შეფასების მექანიზმებს და როგორ ახდენს შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას, განმარტება მივიღეთ, რომ პროგრამის შეფასებისთვის იყენებს კითხვარებს, ახორციელებს შედეგების ანალიზს და ითვალისწინებს პროგრამის გაუმჯობესებისთვის, რაც არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულების მიერ დადგენილ ნორმებსა და პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ სტანდარტულ მოთხოვნებთან. დაწესებულება იყენებს პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კითხვარებს პროგრამის შესაფასებლად და შრომის ბზარის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად. ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია პროგრამის შეფასების თაობაზე, რომელიც ერთი მხრივ გადანაწილებულია სხვადასხვა დოკუმენტში, ურთიერთშევსებას საჭიროებს და ექსპერტული შეფასებისთვის საჭიროა ორივე დოკუმენტიდან ინფორმაციის ამოკრება და გაერთიანება, მეორე მხრივ სრული სურათი ადმინისტრაციის გამოკითხვის შედეგად იქმნება, შესაბამისად, <u>რეკომენდაცია იქნა გაცემული ექსპერტების მხრიდან ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცესებთან დაკავშირებით გადაიხედოს მათი შიდა მარეგულირებელი აქტები, დაკორექტირდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს გონივრულ დროში ინფორმაციის სრულყოფილად მიღება და საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის იდენტიფიცირება ერთი წყაროდან.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. აკადემიას მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასევე აღწერილია პროგრამაში ცვლილებების განხორციელების პროცედურა. ექსპერტთა შეფასებით, საზღვაო აკადემია აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საჯარო სამართლის - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ბრძანება-№01-145 14 / ივნისი / 2024 წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი ND 2-F09-01
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანება-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03;
- ვებ-გვერდით;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**
2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**
3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**
4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**
5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**
6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე)** სასწავლო გეგმა და პროგრამის შემადგენელი მოდულები არ ითვალისწინებს წინაპირობებს და შესაბამისად არ საჭიროებს სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასრულებამდე განმეორებით შეფასებისთვის დროის შუალედის არსებობას. საზღვაო აკადემიას იყენებს „კალენდარული გეგმის“ რეკომენდებულ ფორმას. აღნიშნული ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროგრამის დამატების შემთხვევაში, მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცულია პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, რომელიც მერყეობს 30- 40 საათს შორის.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სასწავლო პროცესი განხორციელდება წარმოდგენილი სასწავლო გეგმის შესაბამისად;

2. სწავლო პროცესის განხორციელება პროგრამის დამატების შემთხვევაში განსაზღვრულია ორ ცვლაში. პროგრამის ფორმატითა და სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა და მისაღწევი შედეგები, მეცადინეობები/კონსულტაციები.

ექსპერტთა შეფასებით, საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში .

3. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი გარემო აღჭურვილია ნაწილობრივ იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ზოგიერთი მათგანი უკვე დასაქმებულია აკადემიაში სხვა პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე და ფლობს სწავლებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, თუმცა ხალი მასწავლებლებისთვის დაწესებულების წარმომადგენლების ინფორმაციით გაიარეს ტრენინგი, რომელიც დაწესებულების დაკვეთით ჩატარდა მასწავლებელთა გადამზადებისთვის. პრაქტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხასიათის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა ხორციელდება რეგიონში წამყვან პარტნიორ კომპანიებში, თავად პრაქტიკის ობიექტები უზრუნველყოფენ დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე რეაგირების პროცედურებს. განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ კომპანიებთან:

- შპს “კავკასიან მეტალს ტერმინალი”.

- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.

- შპს “ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი”.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ-საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიის სამსახური".

- შპს " შოპმარი".

მემორანდუმის საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მემორანდუმში გაწერილი პირობა შესრულდება მათი მხრიდან.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან დასტურდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. აკადემიას აქვს დასაცავი უსაფრთხოების წესები. A, B და C გარემო აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქქრებით, წყლის ჰიდრანტებით, კვამლის დეტექტორებით. პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, პრაქტიკის ობიექტზე კი სპეციფიური უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით. საწარმოო პრაქტიკის გავლისას, საწარმოში გამოყოფილი იქნება უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც გააკონტროლებენ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებას.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საჯარო სამართლის - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ბრძანება-№01-145 14 / ივნისი / 2024 წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი ND 2-F09-01
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანება-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03;
- ვებ-გვერდით;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება.
- საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიურება;
- პრაქტიკის ობიექტების ვიზუალური დათვალიერება.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**
4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილებასთან. განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ -წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.
   ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.
2. აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის არსებული პოლიტიკა, მარეულირებელი წესი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. აკადემიის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს (მუხლი 26. მუხლი 25 არეგულირებს შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის, გაფორმებისა და შენახვის პროცედურებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან; პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის არ ქონის გამო სხვა პროგრამის ფარეგლებში არსებული პრაქტიკის შესახებ მოვისმინეთ დაწესებულების ინფორმაცია, ვიზუალურად დავათვალიერეთ შეფასების უკვე გამოყენებული ინსტრუმენტები
   პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც.

ექსპერტთა შეფასებით,აკადემია უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ანალიზის საფუძველზე, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ, ახორციელებს უკუკავშირს, უზიარებს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------- ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიურირება;

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

14.08.2024.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---